დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების კომისიის სხდომის

ოქმი № 6

ქ. დმანისი 23.05.2019

კომისიის სხდომას ესწრებოდნენ: გ. ციხელაშვილი , ზ. გრიგალაშვილი , ფ.ციხელაშვილი, ნ. მაჯითოვი, შ. აკობაშვილი ა. შარიფოვი.

კომისიის თავმჯდომარე : გოგი ციხელაშვილი

მდივანი: ა. შარიფოვი

დღის წესრიგი;

1. დმანისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ უძრავი ქონების (სასოფლო-სამეურნეო) დანიშნულების მიწის ნაკვეთების იჯარით აუქციონის წესით გაცემის თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ
2. დმანისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ ქონების ააიპ ,,დმანისის მუნიციპალიტეტის კომუნალური სამსახურისათვის ” უსასყიდლოდ გადაცემის თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ
3. დმანისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ ქონების ააიპ ,, დმანისის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრისათვის” უსასყიდლოდ გადაცემის თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ
4. დმანისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ უძრავი ქონების (სასოფლო-სამეურნეო) დანიშნულების მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით, იჯარით გაცემის თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ

   სხდომის თავმჯდომარემ წარუდგინა კომისიის წევრებს დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები.

1. დმანისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ უძრავი ქონების (სასოფლო-სამეურნეო) დანიშნულების მიწის ნაკვეთების იჯარით აუქციონის წესით გაცემის თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ

კომისიის წევრებმა განიხილეს მერის მიერ წარმოდგენილი პროექტი, მიეცეს თანხმობა დმანისის მუნიციპალიტეტის მერს, გასცეს თანდართული დანართით წარმოდგენილი დმანისის მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთები იჯარით, აუქციონის წესით. (8 მიწის ნაკვეთი).

2. დმანისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ ქონების ააიპ ,,დმანისის მუნიციპალიტეტის კომუნალური სამსახურისათვის ” უსასყიდლოდ გადაცემის თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ

კომისიის წევრებმა განიხილეს მერის მიერ წარმოდგენილი პროექტი, მიეცეს თანხმობა დმანისის მუნიციპალიტეტის მერს, გადასცეს უსასყიდლოდ, თხოვების ფორმით, დმანისის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებულ ააიპ ,,დმანისის მუნიციპალიტეტის კომუნალურ სამსახურს, მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული 100 (ასი) ცალი სანაგვე კონტეინერი (1100 ლიტრიანი), საბალანსო ღირებულებით სულ ჯამში 63 500, 52 (სამოცდასამიათას ხუთასი და 52 თეთრი) ლარი.

3. დმანისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ ქონების ააიპ ,, დმანისის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრისათვის'' უსასყიდლოდ გადაცემის თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ

კომისიის წევრებმა განიხილეს მერის მიერ წარმოდგენილი პროექტი, მიეცეს თანხმობა დმანისის მუნიციპალიტეტის მერს, გადასცეს უსასყიდლოდ, თხოვების ფორმით, დმანისის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებულ ააიპ ,,დმანისის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრს''(ს/კ 2289287740), მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული ერთი ერთეული A4 ფორმატის ,,B'' ტიპის მრავალფუნქციური შავ-თეთრი ლაზერული პრინტერი (SAMSUNG Xpress M2870FD), საბალანსო ღირებულებით სულ ჯამში 471,08 (ოთხასსამოცდათერთმეტი) ლარი, და ორი ერთეული ტონერიანი კარტრიჯი საბალანსო ღირებულებით 174, 00 (ასსამოცდათოთხმეტი) ლარი.

4. დმანისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ უძრავი ქონების (სასოფლო-სამეურნეო) დანიშნულების მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით, იჯარით გაცემის თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ

კომისიის წევრებმა განიხილეს მერის მიერ წარმოდგენილი პროექტი, მიეცეს თანხმობა დმანისის მუნიციპალიტეტის მერს , გასცეს პირდაპირი განკარგვის წესით, სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით , იჯარით, თავისუფალი სასოფლო - სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთები.(66 მიწის ნაკვეთი).

კომისიამ მოიწონა და გადაწყვიტა წარედგინოს აღნიშნული საკითხი საკრებულოს ბიუროს საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში შესატანად.

სხდომის თავმჯდომარემ საკითხების ამოწურვის შემდგომ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე; გ. ციხელაშვილი

მდივანი : ა. შარიფოვი